


სასოფლო გზეთი

ქართული
ლიტერატურა



გზეთის ფასი:

ბაზანით ტფილისში	ბაზანით ტფილისში
და გარეშე ადგილებში:	ბაზანით ტფილისში:
პრისის წლისა — 4 მან.	— 3
ნახევრის წლისა — 3 —	— 2
სამის თვისა — 1 მ. 50 კ.	— 1 მ.

მეორე წელიწადი

ბამოლის შაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისის „სასოფლო გზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამბ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით. ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ Тифлисъ, въ контору редакци „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕ-ТЪ“, при типографіи Меликова и К-и.

უცვლელ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამბ. სტამბაში.

№ 9. შაბათი.

II.

10 მაისს 1869 წ.

შინაარსი:

სამეურნეო-ცნობა ძიდე მეყველეებთ ამხანაგობაზე. — წვიმა. — შაშა მწყემსი. — საეკიმო ცნობები: სინათლის გავლენა. — შამის მოქმედება კაცზე. ძბილის ტკივილი. — თაგის ტკივილი. — სოფიანისაგან ნაკენის წამლობა. — მარგიმუშისაგან მოწამლულის წამლობა. — საეჭრო ცნობები. —

სამეურნეო ამბები.

რამდენიმე სიტყვა კიდევ უ. მერესჩაგინის მეყველეებთ ამხანაგობაზედ.

აი რას ამბობს პეტერბურლის „მკონომიური საზოგადოება“ უ. მერესჩაგინის მეყველეებთ ამხანაგობაზე: „1867 წ. დარსდა ოთხი მეყველეებთ ამხანაგობა უ. მერესჩაგინის მეცადინეობით ტფერის გუბერნიაში. წარსული წლის ბოლოს ამისთანა ამხანაგობები (13) ცამეტი იყო: თერთმეტი ტფერისა და ორი ნოვგოროდის გუბერნიაში. რვა საყველე ქარხანა მოქმედობდა მთელი წლის განმავლობაში; დანარჩენმა ხუთმა კი მოსპეს მუშაობა. რადგანაც ზაფხულში იაფი იყო ერბო და ყველი პეტერბურგში, ამისგამო ის მაღაზია, სადაც ამხანაგობას მიჰქონდა ყველი და ერბო, არ ვაჭრობდა და ზამთარში აპირებდა უფრო სარგებლიანად ვაჭრობის დაწყებას; ამიტომაც, რასაკვირველია, გლეხებს არაფერი სარგებლობა არ ჰქონდათ ჯერ-ჯერობით თავიანთ ამხანაგობიდან და დანებეს ამ საქმეს თავი. ამისთანა შემთხვევები ხშირად მოჰხდებოდა, რომ


ერთ ტფერის მებატონეს უ. მკონოვს არ ექნა ერთი კეთილი საქმე. უ. მკონოვმა შეიტანა ტფერის სახელმწიფო ბანკში ხუთი ათასი მანეთი (5,000) იმათთვის, ვინც ამ ამხანაგობაში ურევია. თუ რომელიმე ამ ამხანაგობების მწევრს დასჭირდება ფულები სახელმწიფო ხარჯის გადასახდელად, ან სხვა რამესათვის, იმას შეუძლია გამოიტანოს ამ ბანკიდან და როცა იმათ პეტერბურლის მაღაზიაში მის წილს ყველსა და ერბოს გაჰყიდონ, მაშინ ის დაუბრუნებს ისევ ბანკს ნასესხებს ფულებსა. — ამ ამხანაგობებში გაკეთებულს ერბოსა და ყველის გასასაღებლად პეტერბურლში არის მაღაზია (დებო); ამ მაღაზიის ზედამხედველობა და ყურის გდება იკისრა დაუჯილდოებელად ერთმა ტფერის მებატონემ უ. პოზლოვმა. —

შარშან (1868) უ. მერესჩაგინმა ოცდაექვს კაცს ასწავლა ყველისა და ერბოს კეთება: იმათგან რვა მებატონეები იყვნენ, ხუთი სამღვდლო წოდებისა და ცამეტი გლეხი; მერესჩაგინის შაგილდებს ეძლევათ ახლა წელიწადში ას ორმოც მანეთამდე ჯამაგირი; სამზღვარს გარეთიდან რო დაებარებინათ ყველის მკეთებელი — ათას მან. ნაკლებ არაფერ წამოვიდოდა. — მხლა ხშირად მოჰდის უ. მერესჩაგინს სხვა და სხვა გუბერნიებიდან წერილები, და მიიპატიჟებენ — ჩვენში გააწყვე მეყველეებთ ამხანაგობაო. —

აქ მოყვანილი მაგალითები გვიმტკიცებენ ჩვენ, რომ ეს საქმე რუსეთში კარგათ წავა. ჩვენ ძლიერ მაღლობელი უნდა ვიყვეთ ტფერის საზოგადოებისა, რომელმანცა შეეწია

ამ საქმეს ფულითა და სხვა ყოველივე საშუალობებით. ჩვენ აქ უნდა მოვიხსენოთ, რომ, ღიღმა მთავარმა პლექსი პლექსანდრეს ძემ თავის მოგზაურობის დროს ნახა მილოგოსჩის საყველე ქარხანა და ძლიერ მოწონა იქაური დაწყობილობა; იმან გამოუგზავნა ტფერის გუბერნატორის ხელით მილოგოსჩის ამხანაგობას ორას ორმოცდა ათი მანეთი ბანკის გასაკეთებლად. ამ ბანკიდან გლეხებს გამოაქვთ ფულები საწველადი პირუტყვებისა საყიდლათ; ღიდს მთავარს ძლიერ იამა, როცა გლეხებმა უთხრეს იმას, რომ ჩვენ ამ საქმისა ძლიერ კმაყოფილნი ვართო, რომ ჩვენ ახლა არაფერი არ გვაკლიაო და უწინდელზე უკეთაც ცხოვრებთო. მხლა მილოგოსჩში დაარსდა ბანკი და გლეხები აღარ არიან იძულებულნი დიდი სარგებლით ისესხონ სხვებისაგან ფულები; როცა სჭირდებათ — გამოაქვთ ხოლმე ამ ბანკიდან და, როცა შეძლება აქვთ, მაშინ იხდიან ვალსა.

შარშან მერესჩაგინი იყო სამზღვარს გარეთ ბოლშტინიაში და იქ მოძებნა რუსეთის ყველისა და ერბოს გასასაღებელი ალაგი. მით ბამბურგის ვაჭარს შეეკრა ის პირობით, რომ ყოველ წელიწადს გამოგიგზავნი რუსეთიდან ერბოსა — ფუთს თოთხმეტ მანეთათო; ვაჭარმა ითხოვა მხოლოდ, რომ ერბო ჩვენებურად გააკეთეთო და აქაური მარილი უყავითო. მერესჩაგინმა მოიწვია ერთი იქაური ერბოს კეთების მცოდნე ოჯახობა, და დაიწყო ერთ სოფელში ბოლშტინიურად ერბოს კეთება, მარილიც იქაური დაიბარა. მრბოს



აკეთებს ქალი; ქმარი კი საერბოე კასრებს ამზადებს. მხლა ბევრი რუხის ქალები დაიარებიან ხოლმე ამ ქალთან ქარხანაში და სწავლობენ ერბოს კეთებასა. ბოლშტინიურად გაკეთებული ერბო ძლიერ კარგათ გადის პეტერბურღშიაც, ასე რომ რაც ახლა კეთდება, ათი იმოდენა რომ კეთდებოდეს, მაინც კარგი გასავალი ექნება.—

ამ საქმეს დიდი გავლენა აქვს აგრეთვე, პირუტყვის გაუფჯობესობაზედაც. ძველამ იცის რომ, რაც უკეთ არჩენენ და შეინახვენ ფურს, ისე უფრო ბევრს და უკეთესს რძესაც ის გამოიწველის ხოლმე და ამით უფრო მომეტებული სარგებლობაც ექმნებათ, რადგან მეტს ერბოსა და ყველსაც გაჰყიდია.—

სამეცნიერო ცნობები.

წვიმა.

ჰოველი კაცი შენიშნადა რომ, როცა წყლიანი ქოთან ან ქვაბი დგას ცეცხლზე, იმას ახდის ხოლმე ოზნივარი, რომელიც ზევით მიდის; ორჯელ რომ ავწონოთ წყალი, ერთჯელ გარდადულებამდი და მეორედ გარდადულების შემდეგ, ჩვენ შენიშნაეთ, რომ წყალს გარდადულების შემდეგ წონა მოაკლდება; რატომ მოხდა ეს? იმიტომ რომ ზოგი წყალი დუღილის დროს ორთქლათ გარდიქცა. ორთქლი რომ პატარ-პატარა წყლის წვეთებია—ეს ყველამ ვიცით: ყველას შეუნიშნავს, რომ, როცა მდულარე წყლის ზევით დაუჭერია ხელი, იმას დანამვია ის და ორთქლსა დაუსველებია; რომელიმე ელვარე ნივთს, მაგალითად ფანჯრის მინას, რომ მიაორთქლოთ, თქვენ შეხედეთ—როგორ მოიყრიან იქ თავს პატარ-პატარა წვეთები. ის კი არ გეგონოთ, რომ მარტო მდულარე წყალს ახდის ოზნივარი: წყნარ, თბილ საღამოს ჟამს თუ გაგივლიათ წყლის პირას, თქვენ შენიშნავდით, რომ ამ ცივს წყალსაც კი ახდის ხოლმე ორთქლი და მიდის ზევით.—უნდა იცოდეთ, რომ ორთქლი მარტო წყალს კი არა, ყველაფერს ახდის რაც კი შეიცავს წყალს, მაგალითად დედა მიწას, მცენარებს, ბალახებს, ცხოველებს, ადამიანს და სხვ.

მიხვდით ახლა სიდან წარმოსდგება წვიმა, თუ არა. ჯერ ვერა, განა?! მაშ კოტა ხანს კიდევ მიგდეთ ყური.—სწავლულებისაგან გამოანგარიშებულია, რომ ერთი თავი კომპოსტო გამოიორთქლავს დღეში ერთ გირვანქაზე მეტს წყალსა.

მატი გამოიორთქლავს დღეში სამს გირვანქას, თუ ბევრი არ უმუშავნია და, თუ ბევრი იმუშავა, ან ბევრი იარა, მაშინ ხუთ გირვანქაზე მეტსაც. სწავლულებმ-ვე გამოიანგარიშეს, რომ რაც თორმეტი საათის განმავლობაში ინგლისში ერთ დღიურ მიწიდან ოზნივარი ახდის, იმას რომ მოუყაროს კაცმა ერთად თავი და გამოიანგარიშოს, შეადგენს სამი ათას გირვანქა წყალს. შუა მიწის ზღვიდან ზაფხულში თორმეტი საათის განმავლობაში ახდის ორთქლად ათი მილიონი ფუთი წყალი.—ამნაირი გამოანგარიშებით სწავლულებმა შეიტყეს, რომ ზეციდამ ერთი წვეთი ნამეტანი წყალი არ ჩამოდის; რაც მიწიდან ადის, ისევე უკან ბრუნდება ხოლმე. ასრული ორთქლი ზოგი წვიმით იქცევა, ზოგი თოვლად, ზოგი სეტყვით და ისევე ჩამოდის ხოლმე მიწაზე.

ერთი წლის განმავლობაში ციდამ ჩამოსხმული წყალი რომ ორთქლად არ იქცეოდეს და ისე მოიცილდეს მიწის ზედაპირზედ, ის ორსაჯენზე მოჰჭარავდა დედა-მიწას.—

როცა მშრალია ჰაერი, მაშინ უფრო მალე იქცევა წყალი ორთქლად, ვიდრე მაშინ როცა ჰაერი ნოტიოა; ყველამ ვიცით, რომ სიციხეში უფრო მალე გაიშრობა სარეცხი, ვიდრე მოღრუბლულ და ნისლიან დღეში. ამას გარდა გამოცდილია, რომ თბილი ჰაერი უფრო ბევრს ორთქლს შთაინთქამს ხოლმე, ვიდრე ცივი. როცა ჰაერში იმოდენა ორთქლია, რომ მეტი თუ მოემატა—ვერ დაიჭრს და წვიმით იქცევა, მაშინ ამბობენ, რომ ჰაერი ორთქლით სავსეაო, მაძღარი აო; მაშ თბილი ჰაერი უფრო გაუმაძღარია, უფრო ბევრს სინოტიოს და ორთქლსა დაიჭერს, ვიდრე ცივი. ზღვის ქარიც ამიტომაა ყოველი მეოჯახე-მუშისათვის გვალვის დროს სანატრელი და სასარგებლო, რომ ის მოიყვანს თან ორთქლით სავსე ღრუბლებსა და ჰრწყავს ჩვენ ყანებსა. ზოგიერთ უცხო ქვეყნებში ჰქრის ისეთი მშრალი ქარი, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში, ყველა მცენარეების ფურცლები ყვითლად ხმება და თითონ მცენარეებიც ხმებიან; ღმერთმა აგვაშოროს ჩვენ ამისთანა ქარი!

ამრიგათ ქარისაგან ან სითბოსაგან აყვანილი ორთქლი, ადის ხოლმე მაღლა და იქ ამ ორთქლისაგან შესდგება ღრუბელი; მაშ ღრუბელია ორთქლიანი ჰაერი, ანუ

ჰაერი, სადაც მოგროვილია ერთად პატარ-პატარა წყლის წვეთები. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ამ ღრუბელს წამოუბერა ცივმა ქარმა; ღრუბელი გაცივდება; რასაკვირველია, როგორც წინეთ ვთქვით, ცივი ჰაერი ვერ დაიჭერს იმოდენა სინოტიოს და ორთქლსა, რამდენიც წინეთ ეჭირა: პატარ-პატარა წყლის წვეთები იყრიან ხოლმე მაშინ ერთად თავს, დიდდებიან და წვიმით ჩამოვარდებიან მიწაზე. შეიძლება თბილმა ქარმა გადაყაროს ღრუბელი ცივ ჰაერში, მაშინაც წვიმა მოვა; ხშირად თვითონ ღრუბელი ისე გაძლება ხოლმე ორთქლითა და სინოტიოთ, რომ ვეღარ დაიჭერს წყალსა და მაშინაც წვიმა მოვა.—თუ ღრუბელს ძალიან ცივმა ქარმა წამოუბერა, ან ძალიან ცივ ჰაერში შედენა ქარმა, მაშინ წყლის წვეთებს გაყინავს მეტი სიცივისაგან და, წვიმის მაგიერად, მოვა სეტყვა, ან თოვლი.

ასე—ამრიგათაა ხოლმე დედა-მიწაზე მუდამ წყლის ასვლა—ჩამოსვლა: წვიმით ჩამოსული წყალი შეერთვის ზღვასა და ოკეანეს, ან ჩადის მიწაში და ისევე ამოდის იქიდან (წყაროები) და შეერთვის მდინარეებს. მიწის ზედაპირზედ წყალი ისევე ორთქლად იქცევა, ისევე ადის ცაში და იქიდან მიწაზე ჩამოდის.

ზოგიერთ თბილ-ჰაეროვან ქვეყნებში თითქმის სულ არ მოდის წვიმა; მაგალითად მგვიპტეში და არაბეთში ძლიერ ძვირად მოდის ხოლმე წვიმა.—სახარაში (აფრიკაში) თითქმის არასოდეს არ მოდის წვიმა; მთელი ამ ქვეყნის(სამი ძველასიას ოდენა) ნიადაგი ქვიშათაა გარდაქცეული და ასს ვერსზე იქნება ერთი ხე მოიძებნოს სადმე; სუყველაფერი გამხმარი და გაშრობილია უწყვილობისგან. ზოგან კი თითქმის მთელი წელიწადი წვიმს, მაგალითად ირლანდიაში—წელიწადში შვიდი თვე წვიმს, ნიდერლანდში ექვსი თვე, ინგლისში ხუთ თვემდი. რასაკვირველია, როგორც სულ უწყვილობა, ისე არც მეტი წვიმიანობაა კაცისათვის სასიამოვნო და სასარგებლო.

შენიშნულია, რომ მთებში ყოველთვის უფრო ხშირად არის წვიმა, ვიდრე ვაკე და მდამალიო ადგილებზე; ეს ამიტომ არის, რომ იქ უფრო ბევრი ღრუბელი იყრის თავსა და უფროც ცივა.—ამას გარდა წვიმიანობაზე დიდი გავლენა აქვს ტყესა; შენიშნეს რომ, სადაც კი ტყეები გარდაჭრეს, იქ ყოველთვის

იკლო ხოლმე წვიმამ და გვალვაც უფრო ხშირად მოხდებოდა; ამის გამო ეხლა ყველგან სკდილობენ, რაც შეიძლება ფაქზად მოეპყრონ ტყეებსა და სადაც არ არის, იქ უნდათ მოაშენონ. ტყე ინახავს ხოლმე სინოტიოს და ამიტომ არის მარგებელი. ჩვენ კი, თუმცა ღვთის მადლით, ბევრი ტყე გვაქვს, მაგრამ მოხმარება კი არ ვიცით და დაუზოგავათ ღაფუჭებთ ხოლმე; იმას კი არ ვფიქრობთ—შემდეგ დროში რამდენი ზიანი გვექნება ამისაგან ჩვენა და ჩვენთა მომავალთა.—

აქამომდე წყლის წვიმაზედ გვექონდა ლაპარაკი; ეხლა კი სხვა და სხვა ნაირ წვიმებზე გეტყვით რამდენსამე სიტყვას. „ათას რვას ოთხში (1804 წ.), ამბობს ერთი ფრანკუზი-პონტუსი, მე მივიღიდი დილიქანსით ქ. ალბიდან ქ. ტულუზში. სა ძლიერ მოწმენდილი იყო, ღრუბელი არსად არა ჩნდა. ნასადილენის ოთხს საათზე ჩვენ გაეჩერდით ტულუზის მახლობლად ერთ სოფელში ცხენების გამოსაცვლელად. ცხენები რო გამოცვალეს და დილიქანსში ესხდებოდით-იმ დროს უეცრად სქელმა ღრუბელმა სრულიათ მოჰფარა ცა და ქუხილის ხმაც შემოგვესმა. რამდენისამე წამის შემდეგ დაუშვა საშინელი წვიმა. ჩვენ წინ მიატყნებდნენ ცხენებს ვილაც ორი მხედარი; იმათ მოისხეს საწვიმარი ტანისმოსი; მაგრამ, წარმომიდგინეთ, როგორ გაოცდნენ, რომ წვიმის მაგივრად ეცემოდით ზეცი-დამ პატარ-პატარა ბაყაყები. ისინი მოვიდნენ იმ წამსვე ჩვენთან და შემოგვიჩილეს თავისი უბედურება. მე თვითონ ვნახე ეს ბაყაყები, რომელნიც სცივოდნენ ძირს; დავარდებოდნენ თუ არა, ხტუნვას იწყებდნენ. მე ძლიერ გამიკვირდა ეს ამბავი, მაგრამ პატარა ხანს უკან კიდევ უფრო გასაოცარი სანახავი ვნახე: მთელი გზა იყო ამისთანა ბაყაყებით მოდებული, ისე რომ მიწა სრულებით არა ჩნდა; ისინი საზიზღარად დახტოდნენ და დაიარებოდნენ. მეოთხედი საათის განმავლობაში ჩვენ სულ ამ ბაყაყებით მოფენილ გზაზედ მივიღოდით.“—ჯერ ბეჯითად არ იციან ზევიდან ჩამოჰყავს წვიმას ეს ბაყაყები, თუ მიწიდან ამოყავს ისინი. შეიძლება რომ ზევიდამაც ვარდებოდნენ, ამიტომ რომ ხშირად ქარიშხალი აიტაცებს ხოლმე მიწიდან წყალსა და წყალთან, შეიძლება, ბაყაყებიც აიტაცოს ზევით და მერე იმ წყალს თანვე ჩამოჰყვენ მიწაზე.—

ტვერის გუბერნიაში 1827 წ. ჭიები სცივოდნენ წვიმასთან.—არც ჭიისა და არც ბაყაყების წვიმა არ არის სასიამოვნო, მაგრამ თევზები რო ჩამოცივოდნენ ციდან, ის კი არ გეწყინებათ, მგონია: 1830 წ. ინგლისში იყო თევზის წვიმა; ინდოეთში კი ხშირად სცივიან ხოლმე წვიმასთან თევზები.

ზღვის ნაპირებმა ხშირად იცის ხოლმე მარილიანი წვიმა; ეს, რასაკვირველია, ზღვის წყალია, ქარიშხლისაგან ატაცებული. ამ წვიმისაგან ისე ფუჭდება ხოლმე ბალახი, რომ პირუტყვი ენას ვეღარ აკარებს, ყვილა მცენარეები შეიძობებიან მარილით და ხშირად ხმებიან; მაგრამ დასამარილებელი კი თუ რამ გავთ, ამისთანა წვიმის დროს გამოდევით გარეთ და, იმედი გქონდესთ, რომ მალე დამარილდება.

ამაო მორწმუნე ხალხისათვის წითელი წვიმისთანა საშინელი არაფერია არა არის რა. 1608 წ. ერთ ინგლისის სოფელში მოვიდა წითელი წვიმა; ხალხს ისეთ ნაირად შეეშინდა, რომ დაფთხობილ ცხერებსავით დარბოდა აქა-იქ, კანკალებდა და არ იცოდა-რა ექნა. მაშინათვე იფიქრეს, რომ ეს უბედურება ეშმაკების და კუდიანების ბრალია. მხლა ჩვენ ვიცით, რომ წვიმას წითელი ფერი ერთგვარი წყლის ბალახისაგან აქვს; ხანდისხან ეს სიწითლე პატარ-პატარა ზღვის ცხოველებისაგან წარმოსდგება.

ს. მ.

ფაზა — მუჟამსი.

ალის მოაგონდა ძველი დრო: წამოწვანაზათ თივაზე, დაიწყო ჩიბუხის წევა და უყურებდა ფრინველებს, რომლებიც მას დატრიალებდნენ თავზე ჰაერში. საწყალი ტევალის-ჩინი კი ასე გულ-გრილად ვერ ითმენდა თავის დამცირებას; ის, თითისტრით ხელში, მატყლის რთვის დროს, ხშირად ოცნებობდა თავის უწინდელ უზრუნველ ცხოვრებაზე.

— მამა! რა სასიამოვნოა სიცოცხლე, თუ მუდამ სიღარიბეში უნდა იყოს კაცი? ამბობდა ტევალის-ჩინი.—ამდენ წვალებას, ის არსჯობია, ბარემ ეხლავ რომ მოგვედებოდეთ!...

— ღმერთი სულგრძელია, შეილო! შპასუხა მამამ. უსამართლოთ ის არრას იქს. მცესცხოვრობ ეხლა უმფოთველად და მოსევნებით; მოხუცებულისათვის ამაზე უკეთესი

რა უნდა იყოს? **მს!** მე რომ რამე ჩემთვის ვიციოდე! შენ კი ჯერ ახალგაზდა ხარ და იმედი უნდა გქონდეს, რომ, ადრე იქნება თუ გვიან, ბედი მოგობრუნდება.

— მე ვემორჩილები ჩემ ბედს! ხვენებით უთხრა ტევალის-ჩინმა.

ამ გვარ მდგომარეობაში ალი და მისი ქალი იყვნენ ერთის წლის განმავლობაში. მრთხელ იქაური ფაშის შვილი წავიდა მთებზე სანადიროდ.—

ნადირობაში ფაშის შვილს გზა დაბნეოდა და მის მოსაძებნად წყლის ნაპირს მიჰყვებოდა; უეცრად ერთ ადგილს იმან დაინახა ერთი ახალგაზდა ქალი, რომელსაც ფხვები წყალში ჩაეწყო და თმას იწნადა. დაინახა თუ არა ეს მშვენიერი ქალი, უსუფმა (ფაშის შვილის სახელია) უნებლიედ დაიყვირა. ტევალის-ჩინი შეკრთა; იმას შეეშინდა უცნობი კაცისა და მიაშურა მამას.

— მთის—ველური ვარდი სჯობია ბალისას, იფიქრა უსუფმა. მს მთის ქალი ბევრად სჯობია ჩვენ ხონტქრის ცოლებსა. აი ის ქალი, რომელზედაც მე მუდამ ვფიქრობდი!—პრინცი გაედევნა უკან მშვენიერ ქალს და ბოლოს მიაგნო იმას; ტევალის-ჩინი წველიდა ძროხას; მამამ გაუძახა ძაღლებს, რომლებიც გაცხარებულად უყეფდნენ პრინცს. უსუფმა უთხრა ალის, გზა დამებნაო და საშინლად მწყურიაო;—ტევალის-ჩინმა მოუტანა უსუფს თიხის სტაქნით რძე; უსუფი სვამდა ნელ-ნელა და თან შეჩერებოდა ხან მამს და ხან მის ქალს. ბოლოს იმან სთხოვა ალის, რომ გზა ეჩვენებინა; ალი გაჰყვა ორი ძაღლით და მალე ათრთოლებული დაბრუნდა: უსუფმა აჩუქა იმას ერთი ოქრო; აქედან სჩანს, რომ ის იყო ან ხონტქრის აფიცარი, ან, იქნება, თითონ ფაშა; ალის აზრით ფაშა, თუ აენებს კაცს, თორემ სიკეთეს არასოდეს არავის არ დააყრის; მამა სადამე-ფაშის მეგობრობაც ისე საშიშიაო, როგორც დამტყრება.—

უსუფი, რომ დაბრუნდა შინ, მივარდა დედას, მოეხვია ყელზე და ეუბნებოდა, რომ ის თექვსმეტის წლის ქალწულივით მშვენიერია, რომ მართა ისაა მისი მანუგემბელი, რომ ქვეყანაზე დედისთანა უსუფს არავინ უყარს და სხ. ამ სიტყვებთან ის კოცნიდა დედას ხელებზე. დედამ გაუღიმილა და უთხრა:

— ჩემო შეილო, შენ გინდა, მგონია, რაქ საიღუპლო მითხრა; მითხარი, რას უყურებ,



მე არ მგონია, რომ ისე კარგი ვიყო, როგორც შენ მეუბნები, მაგრამ ის კი ვიცი, რომ შენ ჩემისთანა მგობარს ძვირად მონახავ! უსუფმა იმ წამს უამბო ყველაფერი, რაც ნახა და რასაც შეხვდა მთებში, იმან აუწერა მშვენიერად თვალის-ჩინი და გამოუცხადა, რომ უიმისოდ იმას ცხოვრება არ შეუძლია, რომლის მოკვდება, თუ ხვალვე არ დაიწერა იმ მშვენიერ ქალზე ჯვარი და სხ.—

— სოტა მოთმინება იქონიე, უთხრა დედამ; ჯერ ენახოთ რა მშვენიერებაა ის ქალი და მერე მამაშენსაც უთხრათ და ისიც დავითანხმოთ ამ ქორწილზე.—

უამბო რომ ეს ამბავი შეიტყო, ძლიერ გაცხარდა.— მიდაც მწყემსის ქალი რომ არ მოენახა, განა ცოტა იბოებოდა ღამასკვი ღამაში და მდიდარი ქალები! ამბობდა უსუფის მამა.— თაის დღეში არ ეღირსება ჩემი შვილი ჩემგან ღოცვა კურთხევას, თუ იმ მთიულ ქალზედ დაიწერა ჯვარი.—

ძეთილგონიერმა კაცმა არასოდეს არ უნდა წარმოსთქვას ოჯახში, რომ ამა და ამ საქმეს ჩემ დღეში არ ვიქო, თუ ის დარწმუნებულია, რომ ცოლი და შვილი მისი წინააღმდეგი იქნებიან.— მართი კვირის ცოლის ტირილმა და შვილის სიყვილემ ფაშა იქომამდი მიიყვანეს, რომ ის დაეთანახმა შვილის თხოვნას და მისცა თვალის-ჩინის შერთვის ნება. მაგრამ, რადგან ძლიერ თავმოყვარე კაცი იყო, იმას კი ამბობდა, რომ სისულელეს ვშვრებორო ნებას ვაძლევო.—

— ღაე შეერთოს ჩემმა შვილმა მწყემსის ქალი, სთქვა ფაშამ, მე ამ საქმეში პასუხისმგებელი არ ვიქნები; არ მენაღვლება. მნას უსუფმა სისულელე! ამ სასაცილო საქმის მოხერხება მართო ჩვენ ხუმარას შეუძლია. ვადიდეს ხუმარა და მოიყვანოს ის საძაგელი მწყემსის გომბიო, რომელსაც მოუჯადავს ჩემი ვაჟი.

მართი საათის შემდეგ კუზიანი ხუმარა, ვირზე შემჯდარი, მიდიოდა მთებისაკენ და თან სწყევლიდა ხან ფაშას და ხან უსუფს, რომ ის ისე ნაზად გაზრდილი, ესეთი ჭკუიანი და კეთილშობილი კაცი, გაადდეს ამისთანა სიცხეში და მტვერში ვილაც ოხერი ქალის მოსაყვანად! აბა ეს არის ბედი! ბედი ხშირად აამაღლებს ხოლმე უტყინო სულელს, დაამაღლებს გენიოსს, რომელიც ლუკმა პური-სათვის იძულებულია ხუმარათ განდეს.

სამი დღის შემდეგ დაქანცულმა და დამტვრეულმა ხუმარამ როგორც იყო მოძებნა ალი, რომელიც, ცხერების ყურის გდების ნაცვლად, ნაზად წამოწოლილიყო ერთ ხის ქვეშ და სწევდა ჩიბუხს. ღინახა თუ არა ალი, ხუმარამ-ჰკრა დეზები ვირსა და ვითარცა ვეზირი — თავ მომწონეთ, მიჰმართა იმისაკენ.

— მი! შენ, მხეცო! უთხრა ხუმარამ. შენ მოსჯადოე ფაშის შვილი! ის გაბედნიერებს შენ, გესმის? შენი ქალი უნდა შეერთოს. ვადო საჩქაროთ გაბანე შენი მარგალიტი და მომგვარე აქ; ეხლავე ღამასკვი უნდა წავიყვანო. შენ კი ეს ფულიანი პარკი გამოგვიგზავნა ფაშამ და გიბრძანა — ეხლავე გამეცალე ჩემ საფაშოდანაო.

ალიმ ხელიც არ მოჰკიდა ფულიან პარკსა და გულ-გრილად ჰკითხა ხუმარას — რა გინდაო.

— უზღველო მხეცო! ღაუყვირა ხუმარამ. ბანა არ გესმის, რას გეუბნები?! ფაშის შვილს შენი ქალი ცოლად მიჰყავს.—

— რა ხელოსანია ფაშის შვილი? ჰკითხა ალიამ.

— რა ხელოსანია?! ბაიმეორა ხუმარამ და გადინახარა. ოხ! შე ვირო შენა! განა ფაშა შენსავით გლეხი გგონია, რომ იმუშაკოს! ბანა არ იცი, რომ საფაშოს შემოსავალის ათის თავი ფაშისაა? ბანა არ იცი, რომ იმ ორმოცი ცხვარიდან, რომელთაც შენ აძოვებ, ოთხი ფაშას ეკუთვნის, და რომ დანარჩენს ოცდა თექვსმეტს როცა უნდა მაშინ წაგართმევს?—

— მე ფაშაზე არ გკითხავ! ბულგრილად უპასუხა ალიამ. ღმერთმა მშვიდობა და დღე-გრძელობა მისცეს მის უწარჩინებულესობას! მე გკითხავ, რას აკეთებს ფაშის შვილი მეთქი? მეთოფე ხომ არ არის?

- არა, სულელი!
- მჭედელი?
- არც მჭედელი.
- არც ხუროა?
- არა, მეთქი.
- იქნება მეკირა.

— არა, გეუბნები; ის დიდი კაცია, სულელია? მართო ღარიბები მუშაობენ ხოლმე, ეს არ იცი? ფაშის შვილი კი კეთილშობილი კაცია, ე. ი. ნაზი ხელების პატრონია და თავის დღეში არაფერს არ აკეთებს.

— მაშ ჩემი ქალი არ ეღირსება იმას! თავ მომწონეთ სთქვა ალიამ. მე ჩემ ქალს არას-

ოდეს არ მიეცემ ისეთ ქმარს, რომელსაცაუ შეუძლია მისი დარჩენა! იქნება ფაშის შვილი იცოდეს სხვა რამ ხელობა... მკერვალი ხომ არ არის?

- არა; უპასუხა ხუმარამ.
- არც მეჭურჭლეა?
- არა.
- მაშ დალაქი უნდა იყოს?
- არა მეთქი! ღაიღრიალა კუზიანმა. ღანებე თავი ხტმრობას, თორემ გეუბნები, გცემ! ვადი, დაუძახე შენ ქილს, არა მცალია.

— ჩემი ქალი ვერ წამოვა; უპასუხა მწყემსმა; და თან დაუსტენა ძაღლებს, რომელნიც მოცივდნენ, მოუწუნენ გარშემო ალის და დაუწყეს ღრენა ფაშის ელხს. ჭუზიანი შეჯდა თავის ვირზე უჩვენა ალის მუშტი და უთხრა: შე უჯინსო! მოიცადე, შენ მალე გაიგებ, რა არის ფაშის წინააღმდეგობა.— ხუმარა ძრიელ დაღონებული დაბრუნდა ღამასკვი. იმის ბედზე ფაშას კიდევ იამა ეს ამბავი.— მტყობა ის მწყემსი ჩემ შვილზე უფრო სულელია; მაგრამ, ნუ გეშინია უსუფ — მამა შენი ასრულებს თავის სიტყვასა. მე გავგზავნი მთებში ოთხს ცხენოსანს და თუ ნებით არა — ძალით მოეყვანინებ ჩემს სარძლოს. მამა მისი კი მე უნდა დავაჩუმო. ამ სიტყვების შემდეგ ფაშამ ერთი ისეთი ნაირათ გაიქნია ხელი, ვითომ დიდი რამ საქმე გადაეწყვიტოს.

ღედის ნიშნებით უსუფი წამოდგა და სთხოვა მამას, რომ ამ საქმის გარიგება იმისთვის მიენდო. ამ თხოვნის ასრულება ფაშას ეძნელებოდა. ის ფიქრობდა, შეიძლება თვალის-ჩინს უყვარს თავის ბებერი მწყემსი; მაშინ პატარძალი მოჰყვებოდა ტირილს და ფაშას არ უნდოდა, რომ ხალისის მაგიერად, იმას დამწარებოდა თავის შვილის ქორწილი.

— პარგი, სთქვა ფაშამ. შენ გინდა მამაშენზე ჭკუიანი იყო; ეს ყოველთვის ასეა. მაშ ვადი და რაც გერჩიოს, გააკეთე. მე აღარ გავერევი შენს საქმეში და თუ ბებერმა მწყემსმა შენ უარი გითხრა, მაშინ შენი სირცხვილი იყოს. მე ძრიელ მიამება რომ გნახო შენც ისე კულ-ამოძუებული მოდიოდე იქიდან, როგორც ჩვენი ხუმარა.—

უსუფმა გაიღმილა ამაზე. ის წინათვე დარწმუნებული იყო, რომ გაიმარჯვებდა ამ საქმეში. როგორ შეიძლება, რომ თვალის-ჩინს არ უყვარდეს უსუფი, თუ კი უსუფს უყვარს



თვალის-ჩინი?... მცირე წლის ყმაწვილს კაცს ყოველთვის თავის თავის იმედი აქვს. იქნებ და უიმედობა მაშინ ებადება კაცს თავში, როცა იმას რამდენჯერმე წაუშტერებია ფეხები ცხოვრებაში.

აღიშნული შსუფი ისე, როგორც ფაშის შვილს ეკადრება; დაუმაღლა პატივისცემისთვის, მაგრამ ქალის მიცემაზე კი გადაწყვეტილი უარი უთხრა. შსუფს თვალის-ჩინის იმედი ჰქონდა, მაგრამ თვალის-ჩინმა ისიც არ იცოდა, რომ იმას თხოვლობდნენ.

შაშის შვილი კულ-ამოძუებული ჩამოვიდა მთიდან. რა უნდა ექნა იმას? ღამასკომ რომ დაბრუნებულიყო, მამა სიცილს დაუწყებდა. ბანა უნდა დაეკარგა თვალის-ჩინის შერთვის იმედი? ამას სიკვდილი ერჩია. შინიანი მწყემსის აზრის შეცვლის იმედი უსუფმა დიდი ხანია დაჰკარგა.

ამ ფიქრების დროს იმას დაებნა გზა და მიადგა ერთ ზეთის ხილის ტყეს, საიდანაც ნადა მოშორებით ერთი სოფელი. შსუფს ესმოდა იქაური ხმაურობა, ძაღლების ყეფა, მუშების სიმღერა და სხ.

შეცრად იმას გაუფელა თავში ერთმა აზრით. რატომ არ ისწავლის ის რაიმე ხელობას? ბანა ძნელია ესა? ბანა თვალის-ჩინი არა ღირს ამათ, რომ იმისათვის კაცმა დაიმდაბლოს თავი და შრომა გასწიოს? უსუფმა მიაბა ხეზე უკნები; იქვე დასტოვა თოფ—იარაღი, ტანისამოსი, მიადგა ერთ გლეხის სახლს და შესჩივლა სახლის პატრონს, რომ ავაზაკებმა გამცარცესო და იყიდა ერთი ხელი უბრალო ტანი-სამოსი; ჩაიცვა ეს ტანისამოსი, მივიდა გლეხებთან და სთხოვა ხან ერთს და ხან მეორეს, რომ შაგირდათ მიმიღეთო; ხელობა მინდა ვიწავლოვო.

უსუფი ისე მარჯვე და კარგი შესახდელი კაცი იყო, რომ ყველას დიდის სიამოვნებით უნდოდა იმის აყვანა, მაგრამ თვითონ უსუფი ვერ მიებარა იმათ, რადგან ოსტატები ეუბნებოდნენ, რომ მოხელობა, როგორც შენ იმედი, ისე ჩქარა არ დაისწავლებაო; მაგალითად, მჭედელმა უთხრა, რომ ორ წელიწადზე ადრე ვერ გასწავლი მჭედლობასაო, მჭურჭლემ ერთი წლის ვადა დაუდგა, კალაჯიშმა ექვსი თვისა და სხე.—რა გასაკვირებელია, რომ ამოდნენ ხანს ის ვერ მოითმენდა უ თვალის-ჩინოთ.—

შეცრად ვიღამაც დაუძახა იმას:

— აქ ძოღი, ჩემო შვილო, თუ შენ მეტად თავმოყვარე არა ხარ და ძლიერ გეჩქარება რაიმე ხელობის სწავლა, წამოდი ჩემთან. მე დაგასწავლი ისეთ ხელობას, რომ რვა დღეში შენ შენი თავის დარჩენა შეგეძლოს და შენით ლუკმა პურის მოაზრება.

უსუფმა ასწია თავი და მიიხედა იქით, საიღამაც ეს ხმა მოესმა; იმან დაინახა მახლობლად ერთი პატარა, მომსხო, მხიარული სახის კაცი, რომელიც მუხლ-მოკეცილი წამომჯდარიყო სკამზე. ეს იყო მეკალათე. ის ჩამჯდარიყო ფერად-ფერად ქილოფებში და ბეწვებში და თავის მარჯვე ხელებით სწნაედა თუ ქილოფებს, თუ ლამაზ კალათებს, თუ ქილოფის შლაპებს და სხე. ამის ყაირათიანი მუშაობა ძლიერ სასიამოვნო სანახავი იყო.—

— შენ იქნები ჩემი ოსტატი, უთხრა უსუფმა და ხელი ჩამოართვა.—თუ ორი დღის განმავლობაში მასწავლი შენ ხელობას, დარწმუნებული იყავი, რომ კარგათ დაგასაჩუქრებ! ჯერ ბეთ ეს მომიცია. ეს თქვა და თან ორი ოქროს მანეთი გარდუგლო გაკვირვებულ მეკალათეს. შაგირდი რომ ოსტატს ფულს აძლევდეს, ეს იშვიათი შემთხვევაა. მეკალათემ იმ წამს იფიქრა, რომ ეს ყმაწვილი კაცი უბრალო ვინმე არ არის, ეს უნდა იყოს გარდაცმული პრინცი, ან სხვა ვინმე-დიდიკაცი.—

ახალი შაგირდი იმდრონად მოცილინე და გულის-ყურისანი გამოდგა, რომ სალამომდი დაისწავლა გვარიანათ ქილობების დაწვანა.

აჰა, ჩემო შვილო! უთხრა მეკალათემ, ეხლა გათავდა შენი შაგირდობა. შენ თითონ მიტხარი, დაიმსახურა შენმა ოსტატმა ის ფულები, რომელიც მიეცი, თუ არა? მხლა, ხომ ხედავ, მზის ჩასვლის ქამია; ამ დროს ყველა ათავებს მუშაობას და ჩამოივლიან ჩემი კარების წინა. წადი, დაიჭირე ხელში შენი დაწვნილი ქილოფი და შეაძლიე გამეღვლეებს, უსათუოთ ვინმე იყიდის. მე მგონია ამ ქილოფში მოქცემენ ოთხ ფარას მანეთი და ჯერ ჯერობით შენთვის ესეც კარგია.—

უსუფი მოიქცა ისე, როგორც ოსტატმა ურჩია. პირველმავე შემვაჭრებელმა შეაძლია ჯერ სამი ფარა, მაგრამ ცოტა ხანს უკან ბევრი ღიჯინის და ლანძღვის შემდეგ, იმან ამოიღო დიდი გაქონილი ქისა და დაუთვალა ოთხი ფარა.

უსუფმა მის ნაცვლად, რომ გამოერთმია

ოთხი ფარა, პირ-იქით ერთი მანეთი შეგეძლოს ბელს მისცა, ერთი თუმანიც ოსტატს გადაუგლო, წაველო ხელი თავის დაწვნილ ქილოფსა და გიჟივით სოფლიდან გაიქცა; მივარდა ცხენს, გაშალა თავის დაწვნილი ქილოფი და დაწვა და ისე ტკბილად და უზრუნველად დაიძინა, როგორც თავის დღეში არ სძინებია.—

მორგეს დღეს დილით ალიამ რომ მირეკა საძოვარ ადგილზე ცხვრები, უსუფი იქ დახვდა ხის ქვეშ წამოწოლილი.

შეხვდა თუ არა ალიას, უსუფი წამოდგა მისცა ხელში თავის ხელით დაწვნილი ქილოფი და უთხრა:

— საყვარელო მამავ! შენ მიტხარი, რომ რაიმე ხელობა დამესწავლა. მხლა მე ვიცი ქილოფის დაწვანა. აი ჩემი ხელობა!

— ეს ძალიან კარგი საქმეა, უთხრა ალიამ. თუმც კარგი დაწვნილი არ არის, მაგრამ ეტყობა ამის გამკეთებელს გულს მოდგინეთ უმუშაენია. რამდენს მოიგებ დღეში, რომ ერთი ამისთანა დაწვანა და გაყიდო?—

— ოთხ ფარას, უპასუხა უსუფმა, მაგრამ რომ გავიწვრთნები, მაშინ, მგონია, დღეში ორსაც დაესწნამ ამისთანას.—

— რასაკვირველია ოთხი ფარა ძალიან ცოტა ფულია, მაგრამ დღეს ოთხი ფარა, ხელო ოთხი ზედ, ზეგ კიდევ ოთხი, ეს სულ თორმეტ ფარას შეადგენს; თორმეტი ფარა კი ფულია; ასე რომ ამ ხელობით კაცს შეუძლია დაიჩინოს თავი. მე რომ იმდენად ჭკუიანი ვყოფილიყავ და ფაშობის დროს მესწავლა ეს ხელობა, ეხლა მწყემსად არ ვიქნებოდი.

ამ სიტყვებმა ძალიან გააკვირვა იუსუფი. ალიამ უამბო იმას დაწვნილებით თავის ცხოვრების ამბავი; ამით ალის უნდოდა შეეტყობინებია მომავალ სიძისათვის, რომ მისი თვალის ჩინი ამისთანა ბედის ღირსია.—

იმ დღეს ალიამ ადრე მირეკა ცხვრები ბინაზე. უსუფმა თითონ დაუმაღლა ალის მასპინძელს ყურადღებისათვის და აჩუქა იმას ერთი ქისა ოქრო. როცა თვალის ჩინი მიიყვანეს უსუფთან, იმან თქვა, რომ შვილის ვალია მამის ბრძანება ასარულოსო. ამბობენ, რომ ოსმალეთში ამ გვარ შემთხვევაში ქალები ყოველთვის ასე იქცევიანო და ყოველთვის მამის გამგონებელნი არიანო.

იმ საღამოსვე, ცოტა რომ აგრილდა, ისინი წავიდნენ ღამასკომ.



მეორე დღის საღამოს ისინი მივიდნენ ღამასკში. შსუფმა წარუდგინა თავის საცოლო დედას; რასაკვირველია იმას ძალიან იამა. დედამ ვერ მოითმინა რომ არ წაეყვანა ახალი სასძლო თავის ქმართან და არ გამოეცხადებინა მისთვის ტივალის-ჩინის შთამომავლობა და თან გაუხსენა იმას მისი ჯიუტობა და აყვედრიდა.—

— ალოახ! ალოახ! დაიძახა ფაშამ და ჩამოსევა წვერებზე ხელი, რომ დაეძალა სირცხვილი და ბრძნად სჩვენებოდა ცოლს... ნუ თუ შენ გგონია, ქალბატონო, რომ გამაკვირვებ რითმე-მე—სახელმწიფო საქმეების მმართველს, გამჭირახე კაცს?! ბანა მოქცემილი მე თქვენ ამ გვირგვინების ნებას, რომ ადრე არ მცოდნოდა მე ეს საიდუმლო? ღარწმუნებული იყავი, რომ ფაშამ დედა-მიწაზე ყველაფერი იცის!—იმწამსვე წავიდა ფაშა თავის კაბინეტში და დასწერი თხოვნა ხონთქართან. ის თხოვდა ეპატიებინა ალისათვის, რადგან ეგონა, რომ განრისხულ ფაშის განათესავებისათვის ხონთქარი მეც გამირისხდებოდა. მარტო სიკმაწვილეს უყვარს სიცოცხლეში რომანები; ფაშა კი ბრძენი და გამოცდილი კაცი იყო; იმას არ უნდოდა, რომ მისს სიცოცხლეში ფაშობა ჩამოერთმიათ იმისათვის.—

ამბობენ, შეიტყო თუ არა ხონთქარმა ეს ამბავი, იმწამს გაგზავნაო სირიაში ხომალდი ადრენდელი ბალდადის ფაშის სტამბოლში მოსაყვანათ. ალია, ძონძებით შემოსილი და ჯოხით ხელში, შემოიყვანეს ხონთქრის სასახლეში და მთელი ნასადილევი იმან შეაქცია ხონთქარი თავის მუსაიფთ და გადასავალის ამბებით. შათავა თუ არა ალიამ თავის მოთხრომა, ხონთქარმა აჩუქა მას თავისი ქურჭი. ფაშა ხონთქარმა გახადა მწყემსად; ეხლა მისს შმაღლესობას უნდოდა ხელმეორედ გაკვირვება მთელი ქვეყანისა და მწყემსი ისევ ფაშად გადაექცია. ალია დაუფარდა ფეხებ ქვეშ ხონთქარს და სთხოვდა, რომ ააშოროს ეს პატივი; იმას ეშინოდა ამისთანა მძიმე ვალდებულების კისრობისა; ის უფრო ბედნიერი იქნება, როცა უკანასკნელ ჟამს წყნარად და უშფოთველად გაატარებს.

ალის გამბედაობა გაუკვირდა ყველა იქ მყოფთ, ხონთქარმა კი გაიღიმილა.

— დიდება ღმერთსა! დაიძახა იმან. თორმეტი წლის განმავლობაში მე ამას პარველს ვხედავ, რომელიც ამისთანა ადგილის მიღე-

ბაზე შარს ამბობს. შენი ნებაა, ალი, მაგრამ, გთხოვ, მიიღო ჩემგან საჩუქრად ათასი ქისა. ხელ სარიელი არაფერ არ უნდა გავიდეს ჩემი სასახლიდან.

ალია დაბრუნდა ღამასკში, იყიდა ერთი ბალი, რომელიც სავსე იყო ლიმონით, ფორთოქლით, ქერამით და სხვ. ხეხილებით და ეაზით; აქ მუშაობაში ატარებდა ის თავის სიცოცხლეს. შოველს საღამოს დაწვებოდა ხოლმე ალია დალილი და დამშვიდებული გულით, და ყოველ დილას ადგებოდა მხნეთ და კმაყოფილი გულით.

ტივალის ჩინს ჰყავდა სამი შვილი; სამივე იმაზე უფრო მშვენიერები იყვნენ. იმათ განზრდისათვის ზრუნავდა მათი პაპა—ალია. სამივეს ასწავლა ბალოსნობა და ამას გარდა კიდევ რაზე ხელობა.—რათა შთაებეჭდა მათ გულში ის ჭკუშარტება, (რომ კაცს არასოდეს არ უნდა ეთაკილებოდეს მუშაობა), რომელიც მან სცნა თავის უბედურობის დროს, ალიამ აღმოაჭრა სახლის და ბაღის კედლებზე შორანის ამ საგნის შესახები საუკეთესო სიტყვები, და ქვეით მოაწერა თავის ღრმა აზროვანი შემდეგი სიტყვები: მუშაობა არის ყველა ასათვის საკმაო საუნჯე.—თუ ხელებს მუშაობით შეიქცევ, მაშინ აღარ მოგიხდება მათი გაშვება მათხვერობისათვის.—მარტომ აშინ სცემ შენ პატივს სხვის შეძენილს და სხვის შრომას, როცა შეიტყობ ერთი ფარის მოგებაც რა ძნელია.—შრომა მოგვანიჭებს ჩვენ სიხარულს, სიბრძნეს და ტანმთელობას.—მინც მუშაობს, იმას თავის დღეში არ მოსწყინდება“.

ამ რიგათ იზღებოდნენ სამი ტივალის-ჩინის შვილები. სამივე შემდეგ გახდნენ ფაშები. ისარგებლეს იმათ პაპის დარიგებით, თუ არა? მე გგონია, რომ კი, თუმცა ოსმალური მათიანები ამაზედ არაფერს არ ამბობენ. შმაწვილობაში განაკვეთი კაცს თავის დღეში არ დაავიწყდება. მხლანდელი ჩვენი ცუდი და კარგი ყოფაქცევის მიზეზი ჩვენი აღზდაა. ქეთილ-გონიერო კაცებო! დამეთანხმებით, რომ ხშირად კაცის ბოროტება და უკეთურობა ცუდათ გაზღის შედეგია.—

საქმიანო ცნობები

სინათლის გავლენა კაცის ჯანმთელობაზე.

სინათლე თითქმის ისეა კაცისათვის საჭირო როგორც საქმელი. თუ კაცი ისეთ სახლებში სდგას, სადაც საკმაოდ არ შედის სინათლე, მაშინ იმას ჯერ სინათლეს შეხედვა გაუძნელდება და შემდგომ, აუ ნახევარი ათწელი წელიწადი დარჩა ამ ნაირ სიბნელეში იმას დაუსუსტდება თვალები ან, შეიძლება კიდევ სრულებით დაბრმავდეს. ამას გარდა აქედანვე წარმოსდგება სხვა ბევრი ავთამყოფობები, მაგალითად: სისხლ—ნაკლებობა, ჯანის და ჭკუის მოკლება, ნერწყვის-დენა და სხვა ბევრი.

როგორც სინათლის ნაკლებობა, აგრეთვე მეტი სინათლეც სწყენს კაცს. შველაზედ უწინ სინათლეს, რასაკვირველია, თვალებზე და აქვს ზედ-მოქმედება და შემდეგ მთელ კაცის სხეულზედაც. გარდამეტებული სინათლისაგან წარმოსდგება: თვალების ანთება, მხედველობის და სინათლის თვალეში მოკლება; შემდეგ გარდამეტებულ სინათლეს შეუძლია დააბრმავოს კაცი; ტვინზედაც აქვს სინათლეს გავლენა; თუ დიდხანი ზედ—მოქმედობს ვინმეზე გარდამეტებული სინათლე შეიძლება სისხლი აუფარდეს ტვინში და დაამბლა დაეცეს. შანაში მომუშავე კაცი სიცხის დროს თავ-ტიტველა არასოდეს არ უნდა იყოს ხოლმე, თორე ძალიან ადვილად შეიძლება, რომ სისხლი აუფარდეს თავში ან დაამბლა დაეცეს. სიცხეში გარეთ არ უნდა იბანოს კაცმა, თორემ ტიტველა ტანს დასწავს სიცხე. მს იმოდენათ კი არაფერს აენებს, მაგრამ შეაწუხებს კაცსა მაინც.

შოველთვის უნდა სცდილობდეს კაცი, რომ არც გარდამეტებული სინათლე შესდიოდეს სადგომში და არც ნამეტნავად ბნელოდეს.—

რა მოქმედება აქვს სხვა და სხვა ჟამსა კაცზე.

სხვა და სხვა ჟამსა სულ განსხვავებულ ზედ-მოქმედება აქვს კაცზე; დილას სულ სხვა მდგომარეობაში გრძნობს თავის თავს კაცს და საღამოს სხვაში; შუადღეზე ის ისეთ გულმუნებაზედ არ არის, როგორც შუადღეზე.

ღროებას ისეთ რამეებზე აქვს ზედ მოქმედება, რომ მოსაფიქრებელი არ არის; მაგალითად, გასაკვირველია, რომ უმეტესი ნაწი-



ადამიანებისა იბადება ხოლმე ნაშუალამე-
თორმეტი საათიდან — დღის ექვს საათამ-
და უმეტესი ნაწილი კვდება დღის ექვ-
სათიდან შუადღემდე. ეს კანონია.

ყველაზე უფრო ხშირად ავთ ჰბდებიან
ღმე დილით ადრე, ღამე და საღამოს ჟამს.
ეს კი გამოუცდია ციება, ის შენიშნავედა,
კვირველია, რომ საღამომობით უფრო ცუ-
გრძობდა ხოლმე თავის თავსა, ვიდრე
დროსა; ნიკრისიანი ავთმყოფები უფრო
ღამ არიან შეწყუბებულნი და ვისაც ნერ-
აქეს მოშლილი, ისინი კი შუადღის წი-

ნიშნულია რომ ყველაზე უფრო ხშირად
ღმე და მისში დაარსდება ხოლმე ადა-
ნი; ოკტომბერში და ნოემბერში კი ყვე-
ლა უფრო იშვიათად; აქედან ცხადია, რომ
ეს ხშირად ადამიანი იბადება ფე-
ვალში და მარტში; ყველაზე უფრო იშ-
ვათ კი იელისში და ავგუსტოში. სამხრე-
შპერიკაში უფრო ხშირად იელისში, ავ-
ტოში და სექტემბერში იბადება კაცი, ესე
მაშინ, როცა იქ ზამთარია; უფრო იშვი-
ანერიდან მისამდე — როცა იქ ზაფხუ-

რობიაში უფრო ხშირად კვდება ხოლმე
გაზაფხულში; შემოდგომაზე კი უფრო
იბადება. ზაუნათლებელ ქვეყნებში, სადაც
ი ტბები, ჭაობები და ტყეები არიან უფ-
რო ხშირად კვდება ზაფხულში და შემოდ-
გომაზე; ზამთარში კი ნაკლებად. რაც უფრო
იბადება ვრცელდება რომელიმე ქვეყანა-
სე უფრო ნაკლებად კვდება იქაურე-
ანათლებულმა კაცმა იცის-როგორ უნდა
ივაროს, რა უნდა სჭამოს, როგორ უნდა,
ივას; ერთი სიტყვით-რა აწებებს მას და რა
იბდება; ის სცდილობს რომ ყველაფერი
იბელი აიშოროს თავიდან და მარგებელი
იბაზოვას; მაგალითად განათლებულ ქვე-
ყნაში ვერ ნახავთ ჭაობიან ადგილებსა და
სა, რომელნიც ძლიერ მანებებლნი არი-
ან კის ჯანმთელობისათვის, ამიტომ რომ
ა აფუჭებს, ალბობს ხოლმე ჰავას და ეს,
იურ ზაფხულში, მეტად მანებელია.

ზამთარში ძლიერ იშვიათად ჰბდებიან ხო-
ლმე ავთ; უმეტესი ნაწილი გაზაფხულში, ან
ულში ჰბდება ავთ. ზამოცდილია რომ
არში და გაზაფხულში უფრო ხშირად
იბან ხოლმე ავთ ფილტვების ავთმყო-

ფობით, ზაფხულში კი კუჭისა, ღვიძლისა და
ტყირპის ავთმყოფობით; სიცხე აგრეთვე სწ-
ყენს კაცის ტვინს, ამის გამო ზაფხულში უფ-
რო ხშირად შეიშლება ხოლმე კუჭზე. მო-
ულოდნელად და დამბლით. ზამთარში უფ-
რო ხშირად კვდება, ვიდრე ზაფხულში.
ხოლმე და მუცელა ზაფხულში უფრო ხში-
რია; ყვავილი და წითელა ზამთარში და გა-
ზაფხულში იშვიათად დაემართება კაცს; ცი-
ება კი გაზაფხულში და შემოდგომაზე უფ-
რო ხშირია.

შმაწვილები და მოხუცებულები ყველაზე
უფრო ზამთარში უნდა იყვნენ ფრთხილად
და მორიდებით. მუ კარგი ამინდი არ არის,
ზამთარში ისინი არ უნდა გამოდიოდნენ გარეთა.
მუ ერთნაირი ამინდი დიდხანს დგას, მაშინ
გამრავლებია ხოლმე ავთმყოფობა; ამინდის
გამოცვლა თუ მოუხდება, თორემ არ აწებებს
კაცს. სიცი და ნოტიო ამინდი ძლიერ მანებ-
ბელია; ამ დროს განდებიან ხოლმე ბევრი
ავთმყოფობები: სტუბურა, ფილტვების ტკი-
ვილი (ქლერქი), ქარები და სხვა; სიკვდილი
კი მაინცა და მაინც არ ხშირდება; ამისთანა
ამინდს ძლიერ ცუდი შედმოქმედება აქვს ავ-
რეთვე კაცის გუნებაზე: ის ამ დროს მოწ-
ყენილია, ხმის ამოღება ეზარება და არაფრის
გაკეთება არ შეუძლია. — ნოტიო და თბილი
ამინდის დროს კაცი ხშირად გაცივდება ხოლ-
მე, კუჭი ეშვლება, ასე რომ საჭმელს ხეირია-
ნად ვერ ინელეს; ამას გარდა ამისთანა ამინ-
დში ხშირად ღვიძლი ასტკივდება ხოლმე
კაცს, თუ მორიდებით არ არის. ყველაზე უფ-
რო მანებელია ნოტიო და ცხელი ამინდი. —

წვიმიანი ამინდი თუ დიდხანს არ გაგრძელ-
და, ყოველივეს მარგებელია ადამიანისათვის.
წვიმიანობის დროს ყოველი ავთმყოფობა
იკლებს ხოლმე, ჰავა იწმინდება და სხვა. —

ამბობენ ვითომ ზეციურ მნათობებს აქვს
კაცის ჯანმთელობაზე გავლენა. მხეს და მისს
სინათლეს, რასაკვირველია, დიდი ზედ-მოქ-
მედება აქვს, როგორც ზევით ვთქვით. ამ-
ბობენ რომ მთვარესაც აქვს გავლენა, მაგ. კა-
ცის ტვინზე, თმისა და ფრჩხილების ზღაზე, მუც-
ლის ჭიაზე; ამას გარდა, ამბობენ, ვითომც
მთვარე იყოს სამთვარობის (ლუნატიზმის)
მიზეზი. მაგრამ ამაზე დარწმუნებით ვერაფერს
ვერ იტყვის ჯერ კაცი. — ჩვენ ვიცით ჯერ
მარტო ის, რომ თბილ-ქვეყნებში მთვარეს
აქვს ზედმოქმედება იქაურ ციებაზე და რომ

მთვარის სინათლე ძლიერ სწყენს იქ მოს-
ტიტველა თავს: თუ ის ხანგრძლივ ზედმოქ-
მედობს კაცის თავზე — შეიძლება სისხლი აუფა-
რდეს ტვინში და თვალეში ანთება დაემარ-
თოს იმას; ამას გარდა ავთმყოფს მახსოვრო-
ბა ეკარგება, თავი ეტკინება და სახეც დაუ-
სივდება. —

ძ ბ ი ლ ის ტ კ ი ვ ი ლ ი.

ძაცი ყოველთვის ისე უნდა ცხოვრობდეს
და ისე უნდა უფრთხილდებოდეს თავის თავ-
სა, რომ არ გახდეს ავთ. ჰოველმა კაცმა ისე
უნდა იცოდეს თავისი ავებულობა, რომ წინეთ
მიხედეს-რა აწყენს მას და რა მოუხდება
იმან უნდა მოიქცეს ისე, როგორც მი-
სი ავებულება მოითხოვს; ვინც არ იცის, იმან
რომ შესცდეს — მიეტყვებს, მაგრამ ვინც იცის
თავის თავის ამბავი და ვერ ითმენს, ან არ
უფრთხილდება თავს, ის კი გასაკიცხავია. ლა-
რიბმა კაცმა რა ვერ მოუფრთხილდეს თავის
თავსა, არ არის საძრახი; ამიტომ რომ ღარი-
ბი კაცი, თავის სიღარიბისა და უქონლობისა
გამო, ძლიერ ცუდ საჭმელებს სჭამს, ცუდათ
იცვამს და იხურავს, სადაც მოუხდება იქ და-
წვება ხოლმე და სხვა; ესე ყოველი აწებებს
მისს ჯანმთელობას; მაგრამ კიდ ვაც რომ ეს-
მოდეს ეს გლესსა, მაინც არ შეუძლია უქონ-
ლობისა გამო რიგანათ სჭამოს, სვას და ჩა-
იცვას. ამას გარდა იმან ხშირად არც კი იცის —
არ აწებებს და რა მოუხდება; რასაკვირველია
ღარიბმაც შეძლებისა და გვარად უნდა ეცა-
დოს რომ, არ გახდეს ავთ, თორემ ღარიბი
კაცისათვის ავთმყოფობა დიდი ზიანია: იმას
გარდა რომ ის შეაწყუბებს თვითონ ავთმყოფს
და მის ცოლშვილს, შეიძლება ისეთ დროს
მოსცდეს მუშაობასა, როცა მთელი წლის სა-
ზრდო უნდა მოეყვანა. —

ძბილების ტკივილი რომ აიშოროს კაცმა —
ბევრი არაფერი არ უნდა; პირველად სისუფ-
თავე საჭირო; ყოველთვის ჭამის შემდეგ პი-
რი უნდა გამოირეცხო (ეს მოსაწონი
ჩვეულება ჩვენ გვაქვს). ამას გარდა ცხელი
საჭმელისა ან სასმელისა შემდეგ ცივი არაფერი
არ უნდა სჭამო და არც უნდა დალიო, და
არც ცივის შემდეგ — ცხელი. შაქარი და შა-
ქრიანი საჭმელები მთელ კბილებს იშვიათად
სწყენს; მაგრამ ვისაც კბილები სტკივა, იმან
კი არ უნდა სჭამოს ესენი ხოლმე. — ძბილე-

ბის ტკივილის დროს ხშირად იგუბებენ ხოლმე პირში არაყსა ან რომს. არაყი აგრეთვე რომიც აენებს და არა უხდება; იმათ შეუძლიათ მარტო დროებით შეაჩერონ ტკივილი. მისაც ძალიან აწუხებს კბილის ტკივილი, იმან უნდა ჩაიყენოს გაფუჭებულ კბილში ცოტა ტყვია, ან ოქრო და ან უნდა ამოწვას ის კბილის ნერვი (მგრძნობელი ძარღვი), რომელიც გადის კბილში და რომლისგანაც წარმოსდგება კბილის ავთამყოფობა. თუ არც ამით არა ეშველა რა, მაშინ კი, მეტი გზა არ არის, უნდა მოითხაროს კბილი.—როცა მთელი წყობა კბილები სტიკია ვისმე, მაშინ ცხელ წყალში ფეხების ჩაწყობა და კეფაზე გარჩიცის დაკერა მოუხდება.—

ზემო მოხსენებული საშუალობაები და წამლობა გამოცდილია ექიმებისაგან. ამ წამლობამ შეიძლება არ მოარჩინოს ავთამყოფი, მაგრამ შეამსუბუქებს მაინცა. საზოგადოთ ყოველთვის, რაც შეიძლება, იმას უნდა სცდილობდეს კაცი, რომ აიცილოს ყოველი ავთამყოფობა; და თუ ავთ გახდა, მაშინ უნდა მიჰმართოს რომელიმე ნასწავლ ექიმს და არა გულთ-მისნებს და მარჩიელებს, რომლებიც რაღაც სულელური ლოცვის წაბუტბუტებით ატყუილებენ ხოლმე უსწავლელ ხალხსა და ამით ავითონ სარგებლობენ.—

თავის ტკივილი

თავის ტკივილი ორ ნაირია: ერთი როცა კაცს მთელი თავი სტიკია და მეორე—შაკიკი, როცა მარტო ნახევარი თავი ასტიკიდება. ეს ორნაირი თავის ტკივილი კარგათ უნდა გაარჩიოს კაცმა, რადგანაც ორივეს სხვა და სხვა გვარი ექიმობა უნდა; რაც ერთს მოუხდება, ის მეორეს ხშირად სწყენს ხოლმე. მთელი თავის ტკივილის დროს მუდამ სტეხს თავში და ეს ძლიერ აწუხებს ავთამყოფს; ამას გარდა ყურებში ბზუვილი იცის და თავის განძრევა ეძნელება კაცს. ამ ნაირ ავთამყოფს მოუხდება გრილ ოთახში მოსვენება (ისე რომ თავი მალლა ეჭიროს), სასაქმებელი წამალი და ღვინის მარტილიანი წყალი; ამას გარდა მოუხდება ხშირად ცივი წყლით და ძმარით თავის დასველება. შაკიკიანს ავთამყოფს მოუხდება ბნელ-ოთახში ყოფნა, ამიტომ რომ ამ ნაირ ავთამყოფს ყოველთვის აწუხებს ხო-

ლმე სინათლე; ხმაურობაც ძლიერ შეაწუხებს და აენებს, ამისთვის უნდა ეცადოთ, რომ ავთამყოფთან ხმა მალლა არ ილაპარაკოთ. სასაქმებელი წამალი, ძმარით და ცივი წყლით თავის დასველება თუ არ აენებს, არ მოუხდება, ეს უნდა იცოდეთ. საზოგადოთ ვისაც მთელი თავი სტიკია სიგრილე მოუხდება და შაკიკიანს კი უფრო-სითბო.—

სოფიანისგან ნაკბენის წამლობა.

სოფიანის ნაკბენის მორჩენა ადვილია, თუ კბენის შემდეგ მალე მიასწრო კაცმა: თუ ტუჩებზე და პირში დაჭრილობა არა გაქვს, უნდა იმწამსვე გამოსწოვო ხოლმე ნაკბენი ადგილი და გააფურთხო; ეს გველის ნაკბენსაც მოუხდება. ბევრი მაგალითები მომხდარა, რომ გადარჩენილან გესლიანი გველის ნაკბენნი, როცა მალ მოუსწოვიათ ნაკბენი ალაგი. პირით მოწოვა იმ წამსვე უნდა, თორემ, თუ დრომ გაიარა, გესლი შევა ხოლმე სისხლში და მერე ათასი რომ სწოვო, მაინც გახდება ავთ. თუ ისეთ ალაგას არის ნაკბენი, რომ თვითონ შეუძლია მოწოვა, თვითონვე მოსწოვოს, თუ არა — სხვამ. რასაკვირველია გესლი სისხლიან ადგილს არ უნდა მიეკაროს, თორემ სისხლი ტანში გაიტაცებს გესლსა. მუცელში რომ ჩაივდეს არა უშავს რა, ამიტომ რომ მუცლიდან სისხლში ვერ გადავა; ეს გამოცდილია. ბამოწოვის შემდეგ გარდაფურთხება, რასაკვირველია, სჯობია, რადგან ეჭვი აღარ გექნება.—სოფიანის ნაკბენს მოუხდება კიდევ ცხელი წყალი: თუ შეიძლება ცხელ-წყალში უნდა ჩაჰყო ნაკბენი ადგილი; და თუ ისეთ ადგილზეა ნაკბენი, რომ იმის წყალში ჩაყოფა არ მოხერხდება, მაშინ ღრუბელი უნდა დასველო ცხელ წყალში და მიიღვა ნიკბენ ალაგს.—სოფიანის ნაკბენი არ უნდა დადიოდეს: სიარულის დროს სისხლი უფრო ჩქარა ტრიალებს კაცის ტანში და უფრო მალე შეიზიდავს გესლსა.

მთი სახსარია კიდევ სოფიანის ნაკბენის მორჩენისათვის, მაგრამ იმის მოთმენა ძნელია; ეს ის რომ ნაკბენი ალაგი გახურებული რკინით უნდა მოწვას იქამდი, სადამდიც ნაკბენია. თუ მალე მიასწრო კაცმა—ეს საშუალება რასაკვირველია იმ წამსვე დაარღვევს გესლსა და ნაკბენი ალაგიც მალე მორჩება.—

მარგი-მუშკისაგან (თავის შაკიკისაგან) მოწამლო ღვინო და წამლობა. მარგი-მუშკისაგან მოწამლო ღვინო ადვილად ეტყობა: იმას გაუშრება ყანყრატო, ბჭვალე დაუწყებს და პირიდან და ტანიდან ასაქმე. იმ წამსვე უნდა დააღვინოთ ამ ნაირ მოწამლო ღვინო საპნისანი წყალი, ან თბილი რა ერთი სიტყვით იმისთანა წამალი, რომ ძალიან ასაქმოს; პირიდან ნასაქმებთან მარგი-მუშკიც თან გამოჰყვება. იმ წამსვე ექიმს უნდა შეატყობინოთ.—მსვეე საშუალობა მოუხდება სპიჩკით (ფოსფორით) მოწამლო ღვინოსა. არც პირველ და არც მეორე შემთხვევა არას გზით სასაქმებელი ზეთი არ უნდა მაროთ, თორემ ის დააბნევს გესლსა სხეულს და უფრო მეტათაც მოსწამლავს.—

სამაჰრო სნობაში.

ქუთაისის უეზდის სამმართველოში 20 მაისისთვის დანიშნულია ვაჭრობა ქვრივი ანისტასია მღვდელის ქუთაისის მამულის გასასყიდა; მამული, რომელი იყიდება თ. ბარნაბა ლორთქიფანიძის ვალის (400 გარდასახდელად, შეიცავს სამოსახლო ადგილს და მამულებს ხის შენობებს და დაფასებულია ორას და ხუთ მანეთად (225 მ.). ამ მამულის შექმნის მსუველს შეუძლია დანიშნულ ღრის მივიდეს ქუთაის უეზდის სამმართველოში და ნახოს იქ ზემოხსენებულ მამულის აღწერა და სხვა ამ საქმის შესახები ქაღალდები.

ქავკასიის აქეთა მხრის პრიკაზის განკარგულებამ წლის 11 ივლისისთვის დანიშნულია ვაჭრობა ქემოხსენებულთ ბორის და ლუშეთის უეზდის მამულების მამულის გასასყიდა პრიკაზის ვალის გადასახდელად: 1) აზნაური იოსებ ივანეს ძის წინა დღვაროვისა; 1859 წ. 1750 მანეთში დაგირავეებულია მისი ლუშეთის უეზდის, სოფ. ხუბრიანთ-კარის მამული. მართა სარიდონოვისა—მზაიაშვილის ქალი; 1858 წ. 1000 მანეთში დაგირავეებულია ვენახის წიქვილი, და ლუშეთის უ., სოფ. ახატანში-დუქნევი; 3) აზნაურის ილია სოლომონის ძის თურქისტანის ვის 1859 წ., 2500 მანეთში დაგირავეებულია მამული ბორის უეზდის, სოფელს თელაღვარს. პოდპრუჩიკის კნ. ასლან ნიკოლოზის ძის მარხა მოურავის, 1860 წ. 2,000 მანეთში დაგირავეებულია მისი ვენახი ბორის უეზდის სოფლებში ახალქალაქი და ქავთისხევს.—ამ მამულის შექმნის მსურველს შეუძლია მივიდეს დანიშნულ რიცხვს ლუშეთის და ბორის უეზდის სამმართველოებში და ნახოს ზემოხსენებული გასასყიდი მამულების აწერა.